# განზრახვა და მისი სახეები

*ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი*
*თსუ, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი*

## 1. განზრახვის არსი და არასაკანონმდებლო სახეები

დანაშაული შეიძლება განხორციელდეს განზრახ ან განზრახვის გარეშე. ზოგიერთი დანაშაული შეიძლება განხორციელდეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. მაგალითად, სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა (132-ე მუხ., მე-2 ნაწილი). მაგრამ არსებობს დანაშაულები, რომელთა განხორციელება მხოლოდ განზრახ შეიძლება. ასეთია ძალადობა (126-ე მუხ.), გაუპატიურება (137-ე მუხ.), თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მუხ.) და სხვა.

განზრახვის არსთან და მნიშვნელობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიტერატურაში დღემდე არაერთგვაროვანი შეხედულებაა გამოთქმული, კერძოდ, განზრახვა არის ქმედების შემადგენლობის ნიშანი თუ ბრალის ფორმა. თუ დანაშაულის კლასიკური და ნეოკლასიკური მოძღვრება განზრახვას ბრალის ფორმად განიხილავს[1] დანაშაულის ნორმატიული მოძღვრების შესაბამისად, განზრახვა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანია,[2] რომლის დადგენაც მნიშვნელოვანია სსკ-ის ამა თუ იმ მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის. განზრახვის გარეშე გამოირიცხება ზოგიერთი ტიპის უმართლობის განხორციელება. მაგალითად, ეს ეხება მკვლელობის უმართლობას, რომელიც გულისხმობს მხოლოდ განზხრახ ქმედებას და გამორიცხავს გაუფრთხილებლობას. მკვლელობა არის სხვისი სიცოცხლის განზრახი ხელყოფა. შესაბამისად, განზრახვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს უმართლობის ტიპის განსაზღვრაში. განზრახვა არა მხოლოდ უმართლობის ტიპს შეიძლება განსაზღვრავდეს, არამედ უმართლობის და ქმედების სოციალური საშიშროების ხარისხსაც.[3]განზრახ მკვლელობა საზოგა-

[1] ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში განზრახვას ბრალის ფორმად მიიჩნევს ავტორთა ერთი ნაწილი: ალ. ვაჩეიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 190; თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, წიგნში: თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 47; გ. ტყეშელიაძე, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 128; გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 259, 264-265; ლ-გ. კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2001, გვ. 833; მ. ლეკვეიშვილი, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 129.

[2] ქართულ სისხლის სამართალში ნორმატიულ მოძღვრებას იზიარებენ: ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, კრებულში: სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, ეძღვნება თ. შავგულიძის 75 წლის იუბილეს, თბ., 2006, გვ. 37-38; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 264.

[3] თ. შავგულიძე, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების საფუძველი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკი ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1962, გვ. 75; თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, გვ. 14-15; გ. ტყეშელიაძე, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 128; გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2015, გვ. 421.

დოებრივად უფრო საშიში ქმედებაა, ვიდრე გაუფრთხილებლობით სხვისი სიცოცხლის ხელყოფა. თუმცა, განზრახვის მნიშვნელობა ამით არ შემოიფარგლება და ის მხედველობაში მიიღება ბრალის ხარისხის განსაზღვრის თვალსაზრისითაც.[4] ის ვინც განზრახ ჩადის დანაშაულს, უფრო მკაცრად იკიცხება იმასთან შედარებით, ვინც გაუფრთხილებლობით მოქმედებდა.

განზრახვას ლაკონურად განმარტავენ როგორც ცოდნას და ნებელობას ქმედების შემადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით,[5] ქმედების შემადგენლობის ნიშნებთან მიმართებით. რასაკვირველია, იგულისხმება ცოდნა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებისადმი. ხოლო ნებელობა ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობისადმი. ცოდნა და ნებელობა დგინდება არა აბსტრაქტულად, არამედ ცალკეული გარემოებების მიმართ. განზრახვის საყრდენი ელემენტია ის გარემოებები, რომლებიც ქმედების შემადგენლობას ეკუთვნის.[6]განზრახვის აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარეობს, რომ განზრახვა ორი ელემენტისგან შედგება. ესენია ინტელექტუალური (კოგნიტური) და ნებელობითი (ვოლუნტატური) ელემენტები.

როდესაც საუბარია ქმედების შემადგენლობის ნიშნებისადმი ცოდნაზე, იგულისხმება ცოდნა ისეთ ნიშნებთან მიმართებით, როგორიცაა: ქმედების ობიექტი, მიზეზობრივი კავშირის განვითარება, დანაშაულის საგანი, ხერხი. განზრახ მკვლელობისთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდა მოქმედ პირს ქმედების ობიექტთან დაკავშირებით. იცოდა თუ არა ის, რომ მისი ქმედებით მოკვდებოდა არა ცხოველი, არამედ ადამიანი. ვინაიდან განზრახ მკვლელობის შემადგენლობა იცავს მხოლოდ ადამიანის სიცოცხლეს, სწორედ ადამიანს უნდა განიხილავდეს მოქმედი პირი მისი ქმედების, დანაშაულებრივი ზემოქმედების ობიექტად. თუ მოქმედ პირს ჰგონია, რომ კლავს ცხოველს და შედეგად დგება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, სახეზე იქნება არა მკვლელობის, არამედ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემადგენლობა.

ქმედების ობიექტში შეცდომის დროს შეიძლება მოხდეს პირიქითაც. შეიძლება მოქმედ პირს სურდეს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა და დაშვებული შეცდომის გამო დააზიანოს ნივთი, კერამიკის ფიგურა. მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება მკვლელობის შემადგენლობა და სახეზე იქნება მკვლელობის მცდელობა უვარგის ობიექტზე. ხოლო დამდგარ შედეგთან, ნივთის დაზიანებასთან მიმართებით განზრახვა გამოირიცხება, ვინაიდან მოქმედ პირს სურდა არა ნივთის დაზიანება, არამედ სხვისი სიცოცხლის ხელყოფა. სახეზეა ქმედების შემადგენლობასთან დაკავშირებული შეცდომა[7] შესაბამისად, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობის წესით დაკვალიფიცირდება როგორც მკვლელობის მცდელობა და გაუფრთხილებლობით სხვისი ნივთის (ქონების) დაზიანება-განადგურება.

---

4 ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, კრებულში: სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, ეძღვნება თ. შავგულიძის 75 წლის იუბილეს, თბ., 2006, გვ. 374; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 264.

5 Eisele, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, Bielefeld, 2016, S. 249, §11 Rn. 7. განზრახვის აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში კრიტიკული მოსაზრება გამოითქვა და აღინიშნა, რომ ასეთი განმარტების შესაძლებლობას ქართული სსკ-ის მე-9 მუხლი არ იძლევა, ვინაიდან აღნიშნული ნორმის თანახმად, არაპირდაპირი განზრახვა, რომელიც განზრახვის ერთ-ერთი სახეა, არ გულისხმობს სურვილს დანაშაულებრივ შედეგთან მიმართებით. იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, თბ., 2010, გვ. 89. თუმცა, საკამათო შეიძლება იყოს ნებელობის დაყვანა სურვილამდე, ნებელობის და სურვილის გაიგივება, ისევე როგორც არასწორია სურვილის და ნდომის გაიგივება. საგულისხმოა მოსაზრება, რომელიც არაპირდაპირი განზრახვის დროს ნებელობას კი არ გამორიცხავს, არამედ მიუთითებს ცოდნის და ნებელობის სხვადასხვა ხარისხზე განზრახვის სახეების (გამიზვნა, პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა და არაპირდაპირი განზრახვა) მიხედვით. Eisele, ebenda, S. 250, §11 Rn. 10. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ავტორი არაპირდაპირ განზრახვას და თვითიმედოვნებას მხოლოდ ნებელობის მიხედვით მიჯნავს, რაც ასავე საკამათოა, გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის თანახმადაც სურვილი და ნებელობა, სურვილი და ნდომა, ერთმანეთზე არ დაიყვანება. მოცემული მსჯელობის მიუხედავად არ გამოირიცხება ის, რომ სურვილი არის განზრახვის ნებელობითი ანუ ვოლუნტატური ელემენტი.

6 Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 108, Rn.264-266.

7 Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 504, Rn. 1101.

მაშინ, როცა ქმედების ობიექტში შეცდომამ ცალკეულ შემთხვევებში განზრახვა შეიძლება გამორიცხოს, განზრახვა არ გამოირიცხება დანაშაულის მსხვერპლის პიროვნებაში შეცდომის (error in persona) დროს, რაც გამომდინარეობს სამართლებრივ სიკეთეთა თანაბარმნიშვნელობიდან. მკვლელობის განზრახვისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა და სურვილი, რომ საქმე ეხება სხვა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. მკვლელობის განზრახვისთვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, ვინ არის ეს ადამიანი. მკვლელობის შემადგენლობა იცავს სხვა ადამიანის სიცოცხლეს, განურჩევლად იმისა, თუ ვის ეკუთვნის ის. სამართლისთვის ყველა ადამიანის სიცოცხლე არის თანაბარღირებული.[8]

**მსხვერპლის პიროვნებაში შეცდომა** მაშინ ახდენს გავლენას ქმედების კვალიფიკაციაზე, როცა პირი, რომლის მიმართაც იქნა შეცდომა დაშვებული, განსხვავებული სამართლებრივი დაცვის რეჟიმში იმყოფება. მაგალითად, სსკ-ის 325-ე მუხლით ისჯება საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა. მართალია, აღნიშნული ქმედება განხორციელებული უნდა იყოს მსხვერპლის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მაგრამ რაც მთავარია, მსხვერპლის პიროვნება მნიშვნელოვანია დასახელებული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის. ასეთ დროს, ბუნებრივია, ქმედების კვალიფიკაციაზე ასახვას პოვებს შეცდომა მსხვერპლის პიროვნებაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 325-ე მუხლის დისპოზიციაში სიტყვა „ხელყოფა" ფართო გაგებითაა გამოყენებული და გულისხმობს სამართლებრივი სიკეთის არა მხოლოდ ხელყოფის, არამედ ხელყოფის მცდელობის სტადიასაც. შესაბამისად, საკამათოდ უნდა მივიჩნოთ აღნიშნულ შემთხვევაში ქმედების ისეთი კვალიფიკაცია, რომელსაც ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს (19, 325-ე მუხლით).[9]

შეხედულება, რომლის შესაბამისადაც, მსხვერპლის პიროვნებში შეცდომა განზრახვას არ გამორიცხავს, გაბატონებულ შეხედულებად ითვლება. განსახილველ საკითხზე არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელიც უმცირესობის შეხედულებად ითვლება და გულისხმობს ქმედების ორმაგ კვალიფიკაციას, როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მუხლით. აღნიშნული მოძღვრება კონკრეტიზაციის თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი.

პიროვნებაში შეცდომისგან უნდა განვასხვაოთ აცდენილი ისრის შემთხვევა (aberratio ictus), რომელიც სახეზეა მაშინ, როცა ზიანდება არა ის ობიექტი, რომელსაც დამნაშავემ დაუმიზნა, არამედ სხვა, გვერდით მდგომი. აღნიშნულ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

**თანაბარღირებულების თეორიის** მიხედვით ობიექტის თანაბარღირებულების დროს აცდენილი ისრის შემთხვევა არ არის გასათვალისწინებელი. პიროვნებაში შეცდომის მსგავსად მოქმედი პირი დამთავრებული განზრახი დანაშაულისთვის უნდა დაისაჯოს. ვინაიდან სურდა განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და ხელყო კიდეც ეს სამართლებრივი სიკეთე.[10]თუმცა, ასეთ დროს არ შეიძლება მხედველობის მიღმა დარჩეს ის გარემოებაც, რომ ობიექტურად საფრთხე შეექმნა იმ სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც ტყვია ასცდა, რაც ქმედების კვალიფიკაციის დროს მოითხოვს გათვალისწინებას.[11]ქმედების შემადგენლობის აბსტრაქტულ ნიშანზე კანონი არ მოითხოვს განზრახვის კონკრეტიზებას. აღნიშნული თეორიის წინააღმდეგ მიუთითებენ, რომ აცდენილი ისრის შემთხვევაში დამთავრებული განზრახი დანაშაულის დაშვება ბრალის პრინციპს ეწინააღმდეგება, ვინაიდან დამნაშავე განსაზღვრული ტიპის განზრახვით მოქმედებდა. აღნიშნული თეორიის გამოყენებას პრობლემურად მიიჩნევენ მაშინაც, როცა ქმედებით გარდაცვლილია არა სამიზნე ობიექტი, არამედ სხვა ადამიანი.[12]

---

8 თ. წერეთელი, წიგნში: მაყაშვილი/მაჭავარიანი/წერეთელი/შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 12-13; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 513; Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 505, Rn. 1103.

9 ი. ხერხეულიძე, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 320.

10 Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 507, Rn.1106.

11 თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 149.

12 Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 507, Rn.1106.

**განჭვრეტადობის თეორიის** მიხედვით, აცდენილი ისრის შემთხვევა მაშინ არ არის გასათვალისწინებელი, როცა თანაბარღირებული ქმედების ობიექტისთვის ქმედების აცდენა იყო განჭვრეტადი. როცა ქმედების ობიექტი არ არის თანაბარღირებული ან ქმედების აცდენა არ იყო განჭვრეტადი, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მცდელობა. მაგალითად, როცა ადამიანის მიმართულებით ნასროლი ტყვია ხვდება არა ადამიანს, არამედ მის გვერდით მდგარ ცხენს. ქმედების კვალიფიკაციის ასეთი დასაბუთება ხდება იმით, რომ აცდენილი ისრის შემთხვევა არის მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის ნაირსახეობა და საკითხიც უნდა გადაწყდეს იმ წესის მიხედვით, რომელიც მოქმედებს მიზეზობრიობაში შეცდომის შემთხვევაში. განსახილველი თეორიის მიხედვით, აცდენილი ისრის შემთხვევაში დამთავრებული განზრახი დანაშაული მხოლოდ მაშინ გამოირიცხება, როცა მიზეზობრიობის განვითარებაში გადახრა არსებითია.[13]

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, აცდენილი ისრის შემთხვევა წარმოადგენს გასათვალისწინებელ შეცდომის შემთხვევას. დამნაშავე გამიზნულ ობიექტთან მიმართებით შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ მცდელობისთვის, ხოლო ხელყოფილ ობიექტთან მიმართებით გაუფრთხილებლობითი დანაშაულის განხორციელების გამო. საკითხის ასეთი გადაწყვეტა გამომდინარეობს იქიდან, რომ ქმედების ობიექტის მიმართ განზრახვის კონკრეტიზაცია პრინციპულ აუცილებლობას წარმოადგენს.[14]

როგორც ზემოთ აღინიშნა, განზრახვა უნდა მოიცავდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარებას, თუ საქმე ეხება შედეგიან დანაშაულს. მაგრამ, აქ მხედველობაშია მიზეზობრივი კავშირის განვითარების არსებითი რგოლი და არა უმნიშვნელო დეტალები, რომელიც გავლენას ვერ ახდენს საერთო სურათზე. მაგალითად, როდესაც დამნაშავე მკვლელობის მიზნით ცურვის არმცოდნე ადამიანს ხიდიდან აგდებს და სასიკვდილო შედეგის დადგომას უშვებს დახრჩობის შედეგად, შეიძლება სასიკვდილო შედეგი დადგეს არა დახრჩობით, არამედ გულის გახეთქვით, მაგრამ ამის მიუხედავად შედეგისადმი განზრახი დამოკიდებულება არ გამოირიცხება.

სხვაგვარად გადაწყდება საქმე, როცა დამნაშავე მკვლელობის მიზნით დაჭრის ადამიანს, დამნაშავეს ჰგონია რომ მსხვერპლი გარდაიცვალა, მაგრამ მსხვერპლი კვდება იმის გამო, რომ გამვლელმა მანქანამ გადაუარა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არსებითი შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, რის გამოც მოქმედი პირი მხოლოდ დანაშაულის მცდელობისთვის დაისჯება.[15]

როგორც უკვე ითქვა, განზრახვა გულისხმობს ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი გარემოებების ცოდნას, მაგრამ ე. წ. თანაცნობიერების თეორიის (Mitbewusstseinslehre) მიხედვით, განზრახვა ამასთან ერთად მოიცავს იმ გარემოებების ცოდნასაც, რომელზეც მოქმედ პირს დანაშაულის ჩადენისას არ უფიქრია, თუმცა მის შეგნებაში, ცნობიერებაში არსებობდა. ამასთან ერთად, აღნიშნული თეორიის მიხედვით, თანაცნობიერებისას არსებობს არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ ასევე ნებელობითი მომენტიც. განზრახვის აღნიშნული მომენტი განსაკუთრებით რელევანტურად მიიჩნევა ნორმატიულ ნიშნებთან მიმართებით.[16] მაგალითად, 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დროს, მოქმედი პირი ქმედების განხორციელებისას შეიძლება არც ფიქრობდეს იმაზე, რომ ვისთანაც სქესობრივ კავშირს ამყარებს, 16 წლის ასაკს მიუღწეველია, მაგრამ ეს აღნიშნული თეორიის მიხედვით განზრახვას არ გამორიცხავს, თუ მოქმედ პირს ქმედების განხორციელებამდე გაგონილი ჰქონდა მსხვერპლის ასაკის შესახებ. საკითხის ასეთ გადაწყვეტას აკრიტიკებს ავტორთა ერთი ნაწილი და თვლიან, რომ განზრახვის ასეთი გაგება შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს სიმულტანობის პრინციპთან და იმ მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც განზრახვა გულისხმობს დანაშაულის ჩადენის ყველა ეტაპზე განზრახვის კონკრეტულად და უწყვეტად არსებობას.[17] თუმცა,

[13] Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 507, Rn.1107.

[14] Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 508, Rn.1108.

[15] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 192.

[16] RoxinC., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, München 2006, S. 498, §12 Rn. 123.

[17] ლ. მაღლაკელიძე, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამარ-

აღნიშნული კრიტიკის საფუძვლიანობა შეიძლება საკამათო იყოს.

ქმედების განხორციელების დროს მოქმედი პირი შეიძლება ასევე არ ფიქრობდეს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილია პროფესიიდან გამომდინარე, მაგრამ ამის მიუხედავად არ გამოირიცხოს განზრახვა. მაგალითად, როცა ადვოკატი ან ექიმი გათქვამენ მათთვის განდობილ საიდუმლოებას, ისინი ხშირად არ ფიქრობენ იმაზე, რომ არიან ადვოკატი ან ექიმი. ამის მიუხედავად მათ აქვთ განზრახვა აღნიშნულ ნიშნებთან დაკავშირებით, ვინაიდან ცოდნა, ინფორმაცია, რომელიც მათ გაანდეს პროფესიული საქმიანობის დროს, მათ ცნობიერებაში არსებობდა და[18] მათთვის ზოგადად, ცნობილი იყო ისიც, რომ აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება არ შეიძლებოდა.

ქმედების შემადგენლობა, როგორც ცნობილია, არა მხოლოდ ფაქტობრივი, არამედ ნორმატიული, შეფასებითი ნიშნებისგანაც შედგება. ასეთი შეფასებითი ნიშნებია ქურდობის შემადგენლობაში (177-ე მუხ.) „სხვისი", 363-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაში „დოკუმენტი", 141-ე მუხლის შემადგენლობაში „გარყვნილი" და სხვა. დასახელებულ შემადგენლობათა განხორციელებისას აუცილებელია აღნიშნული შეფასებითი ნიშნები განზრახ მოქმედი დამნაშავის ცნობიერებაში აისახოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ დამნაშავეს ზუსტად ჰქონდეს შეგნებული შეფასებითი ელემენტების ზუსტი შინაარსი. ასეთი ზუსტი წარმოდგენა შეფასებით ნიშნებზე დამნაშავეს კი არა, შესაბამისი დარგის სპეციალისტსაც შეიძლება არ ჰქონდეს. ამიტომ განზრახვისთვის საკმარისია შეზღუდული წარმოდგენაც ასეთი ნიშნების შესახებ. მაგალითად, გარყვნილი ქმედების განხორციელებისას, საკმარისია დამნაშავემ იცოდეს, რომ სჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც გასაკიცხადაა მიჩნეული ფართო საზოგადოებაში.[19]

თუ განზრახვა ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშნების გარდა ნორმატიულ ნიშნებსაც არ მოიცავს, განზრახვა გამოირიცხება. მაგალითად, უკანონო აბორტის შემადგენლობის განსახორციელებლად მოქმედ პირს არა მხოლოდ ის უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ აბორტს აკეთებს, არამედ ისიც, რომ აბორტი მის მიერ კეთდება იმ ფორმალურ მოთხოვნათა დარღვევით, რომელიც აბორტთან დაკავშირებით მოქმედებს. თუმცა, აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევა ჯერ კიდევ არ გულისხმობს ქმედების მართლწინააღმდეგობას, რომლის დადგენა მოითხოვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებათა გამორიცხვასაც. ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშანი იმიჯნება მართლწინააღმდეგობისგან, რომელიც დანაშაულის მეორე ნიშანია, ვინაიდან ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშნის არსებობა ქმედების მართლწინააღმდეგობის დასადგენად არასაკმარისი პირობაა. შეიძლება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის ფორმალური მოთხოვნის დარღვევით, მაგალითად, სახლის პირობებში, გაკეთდეს აბორტი, მაგრამ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, როცა ობიექტური პირობების გამო ორსული ქალის საავადმყოფოში გადაყვანა შეუძლებელია, რაც განხორციელებულ ქმედებას მართლზომიერად აქცევს. შესაბამისად, ერთმანეთისგან იმიჯნება ქმედების ნორმატიული ნიშნის გაცნობიერება და ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება, რომელიც ბრალის ნიშანია.

მართლწინააღმდეგობის შეგნება, საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, განზრახვის მესამე კომპონენტია, მაგრამ მისი დადგენა ხდება არა ქმედების შემადგენლობის, არამედ ბრალის ეტაპზე. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა ანუ აკრძალვაში შეცდომა 36-ე მუხლის თანახმად, როცა შეცდომა მიუტევებელია, განზრახვას გამორიცხავს და იწვევს პასუხისმგებლობას იმ მუხლით, რომლითაც ისჯება გაუფრთხილებლობითი დანაშაული, თუ შესაბამისი ქმედების გაუფრთხილებლობით განხორციელება მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია.

როცა აკრძალვაში შეცდომა მისატევებელია პასუხისმგებლობა საერთოდ გამოირიცხება ბრალის გამორიცხვის შედეგად. აკრძალვაში მისატევებელი შეცდომა თუ ბრალს გამორიც-

---

თლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2013, გვ. 26-27.

[18] RoxinC., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, München 2006, S. 498, §12 Rn. 123.

[19] თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, წიგნში: თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 53-54.

ხავს, მიუტევებელი შეცდომა ბრალს ამსუბუქებს. ამიტომაც არის აკრძალვაში შეცდომა გათვალისწინებული ბრალის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა თავში. ნორმის მოთხვნის დარღვევა აკრძალვის არცოდნის პირობებში მიუთითებს მოქმედი პირის ნაკლებ საშიშროებაზეც, რაც საფუძველი ხდება მოქმედი პირის უფრო მსუბუქად გაკიცხვის, დასჯის. მეტ საშიშროებას ავლენს ის, ვინც შეგნებულად უგულებელყოფს სამართლის ნორმის მოთხოვნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებრობას იწვევს სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „სისხლის სამართლის სუბიექტის მიერ სისხლის სამართლის ნორმის უცოდინარობა უნდა გამოცხადდეს ბრალის დამამძიმებელ გარემოებად“.[20]

როდესაც შედეგიან დელიქტს ეხება საქმე, განზრახი დანაშაული გულისხმობს განზრახ ქმედებას შედეგთან დამოკიდებულების გათვალისწინებით. ქმედება განხორციელდა თუ არა განზრახ, არ შეიძლება დადგინდეს შედეგისგან მოწყვეტით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განზრახი ქმედება გულისხმობს არა მხოლოდ შეგნებულ ქმედებას, არამედ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგისადმი ქმედების შეგნებულ წარმართვასაც. შეგნებული ქმედება მაშინ არის საკმარისი განზრახი ქმედებისთვის, როცა სახეზეა ე. წ. ფორმალური ანუ უშედეგო დელიქტი, რომლის ნიშნადაც შესაბამისი მუხლის დისპოზიციით არ არის გათვალისწინებული შედეგი. თუ განზრახი ქმედებისთვის შედეგიან დელიქტებში არარელევანტური იქნებოდა შედეგისადმი დამოკიდებულების გათვალისწინება, შეუძლებელი გახდებოდა განზრახვის და გაუფრთხილებლობის (კერძოდ, თვითიმედოვნების) ერთმანეთისგან გამიჯვნა და განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას მივიღებდით არა მხოლოდ შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, არამედ ასევე ქმედების ძირითად შემადგენლობებშიც,[21] ვინაიდან შეგნებული ქმედება შეიძლება განხორციელდეს თვითიმედოვნების დროსაც, როდესაც ინტელექტუალური მომენტი არ არის ნულის ტოლი, რამეთუ მოქმედი პირი აცნობიერებს ქმედების საშიშროებას და ითვალისწინებს წინდახედულობის ნორმის დარღვევას.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში არაერთგვაროვანი შეხედულებაა იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა იდენტური განზრახვა და გადაწყვეტილების მიღება. ერთი შეხედულების მიხედვით, განზრახვა არის გადაწყვეტილების მიღება,[22] ხოლო მეორე შეხედულებით განზრახვა არ შეიძლება გაიგივებული იქნას გადაწყვეტილების მიღებასთან.[23] ამ უკანასკნელი მოსაზრების შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღება პირდაპირი განზრახვით, მაგრამ არაპირდაპირი განზრახვით გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.[24]

იმისთვის, რომ ქმედება განზრახ განხორციელებულად ჩაითვალოს, გასათვალისწინებელია ქმედების შემადგენლობის ნიშნებისადმი ინტელექტუალური (კოგნიტური) და ნებელობითი (ვოლუნტატური) დამოკიდებულება ქმედების განხორციელების მომენტში და არა მანამდე ან ქმედების განხორციელების შემდგომ. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს ე. წ. სიმულტანობის ანუ თანადროულობის პრინციპიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობაში არ მიიღება **წინმსწრები** და (ქმედების) **შემდგომი** განზრახვა. წინმსწრები განზრახვაა სახეზე, როცა მძღოლს სურს კონკრეტული პირის, მისთვის არასასურველი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, შემთხვევით ეჯახება წინდახედულობის ნორმის დარღვევის გამო და ქმედებას მყისიერად მოსდევს სასიკვდილო შედეგი. შემდგომი განზრახვაა სახეზე, როცა მძღოლი წინდაუხედაობის გამო ეჯახება ქვეითს და აღმოაჩენს, რომ შეჯახების შედეგად გარდაცვლილი ქვეითი მისი მტერია, ხოლო დამდგარი შედეგი სიხარულს მოჰგვრის. ორივე შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება არა როგორც განზრახი, არამედ როგორც გაუფრთხილებლობითი.

ლიტერატურაში გამოყოფენ განზრახვის რამდენიმე სახეს: განზრახვა შეიძლება იყოს **უეც-**

---

[20] ლ-გ. კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბ., 1999, გვ. 37.

[21] თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 264-265.

[22] თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, წიგნში: თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 47-48; Öhler D., Das objektive Zweckmoment in der rechtswidrigen Handlung, Berlin, 1959, S. 119.

[23] Mezger E., Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin-München, 1950, S. 28.

[24] გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 383.

**რად მოფიქრებული ან წინასწარ ჩამოყალიბებული.** წინასწარ მოფიქრებული განზრახვით დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებს დანაშაულის ჩადენის დაგეგმვა, დანაშაულის ჩადენის დროის, საშუალების განსაზღვრა და ა. შ.[25]წინასწარ ჩამოყალიბებული განზრახვით ხორციელდება ის დანაშაულები, რომლებიც გადიან მომზადების და მცდელობის სტადიას. უეცრად ჩამოყალიბებული განზრახვით ხორციელდება ის დანაშაული, რომელიც არ გადის დასახელებულ ეტაპებს. განზრახვის დასახელებული სახით დანაშაულის ჩადენა იმ დანაშაულისთვისაც არის დამახასიათებელი, რომელსაც ახასიათებს მცდელობის სტადია, მაგრამ ხორციელდება სპონტანურად, სიტუაციურად, წინასწარი მოფიქრების გარეშე. ასეთია აფექტში ჩადენილი დანაშაული.[26]თუმცა, წინასწარი მოფიქრების გარეშე დანაშაულის ჩადენა ყოველთვის არ გულისხმობს მოქმედებას აფექტში. შეიძლება უეცრად აღმოცენებული განზრახვით დანაშაული აფექტის გარეშეც განხორციელდეს. აფექტში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიშველიოთ: "გ", დედას და ძმას წლების განმავლობაში სისტემატიურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. "გ"-სთან მის ძმას საყოფაცხოვრებო ნიადაგზე კამათი მოუვიდა, რაც გადაიზარდა "გ"-ს მხრიდან მისი ძმის მიმართ ძალადობაში, კერძოდ "გ"-მ ხელებით შებოჭა ძმა, წააქცია და სხეულის არეში ხელის დარტყმით დაუწყო ძალადობა, აღნიშნული ძალადობის შედეგად "გ"-ს ძმას გაუჩნდა სიკვდილის შიში, შეეკრა სუნთქვა და განიცადა ძლიერი ტკივილი, რის გამოც ჯიბიდან ამოიღო დანა, დაუსვა ხელებზე და გათავისუფლდა შებოჭვისაგან, შემდეგ "გ" გაიქცა ეზოს მიმართულებით, რომელსაც გაჰყვა "გ"-ს ძმა და სახლის ეზოში სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფმა განზრახ მოკვლის მიზნით ხელთარსებული დანით სხეულის სხვადასხვა ადგილზე მიაყენა მრავლობითი ჭრილობები, რის შედეგადაც "გ" მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა[27]. "გ"-ს ძმის ქმედება აფექტში, უეცრად აღძრული ემოციით არის განხორციელებული, რაც უეცრად ჩამოყალიბებულ განზრახვას გულისხმობს.

აფექტში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი განსხვავდება როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი დანაშაულისგან, ვინაიდან, აღნიშნული შეხედულებით, განზრახ დანაშაულის ჩადენისას ადგილი აქვს დანაშაულის ჩადენის უპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღებას. აფექტის დროს კი ასეთი გადაწყვეტილება დამნაშავეს მიღებული არ აქვს და, მაშასადამე, იგი არ მოქმედებს განზრახ. ანალოგიური მოსაზრება გამოითქვა სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებითაც, ასევე ავტომატიზმის გავლენით განხორციელებულ ქმედებაზე. თუმცა, აღნიშნული მოსაზრება სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული, ვინაიდან აფექტი განზრახვას კი არ გამორიცხავს, არამედ ბრალის ხარისხის, შესაბამისად, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა.[28] აფექტში მოქმედება რომ განზრახი მოქმედებაა, იქიდან გამომდინარეობს, რომ აფექტში ჩადენილი დანაშაული არის დამნაშავის რეაქცია მხვერპლის მხრიდან მისი ან მისი ახლო ნათესავის მისამართით განხორციელებულ ქმედებაზე, რაც იმას გულისხმობს, რომ დამნაშავე შეფასებას აძლევს მსხვერპლის წინარე ქმედებას, რომელიც საფუძვლად დაედო დამნაშავის ძლიერი სულიერი ემოციის წარმოქმნას და მის შედეგად განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებას. შესაბამისად, აფექტში ჩადენილი ქმედება გაცნობიერებული ქმედებაა და არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომ აფექტის დროს ქმედება გაუცნობიერებლად მიმდინარეობს, რაც გამორიცხავდა ქმედების მართლწინააღმდეგობის და სოციალური საშიშროების შეგნებას.[29] აღნიშნული მოსაზრების გაზიარებისას, მოქმედი ქართული სსკ-ის მიხედვით, მოგვიწევდა განზრახვის გამორიცხვა, რამეთუ განზრახი დანაშაული მოქმედი ქართული სსკ-ის მიხედვით ქმედების მართლწინააღმდეგობის და სოციალური საშიშროების შეგნებას გულისხმობს. აფექტის დროს განზრახვის გამო-

[25] გ. ტყეშელიაძე, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 133-134; ნ. თოდუა, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 273.

[26] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 190.

[27] აღნიშნული კაზუსი მოტანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან.

[28] თ. შავგულიძე, ბრალის მესამე ფორმა სისხლის სამართალში, წიგნში: იურიდიული ძიებანი, თ. წერეთლის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1977, გვ. 78-79.

[29] თ. შავგულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

რიცხვის შედეგად, შეუძლებელი გახდებოდა აფექტში სხვისი სიცოცხლის ხელყოფისას ქმედების კვალიფიკაცია მკვლელობად (სსკ-ის 111-ე მუხ.), განზრახი ქმედების უმართლობად.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასევე ადგილი ჰქონდა მცდელობას, რომ აფექტური განზრახვისთვის ადგილი მოენახათ პირდაპირ და არაპირაპირ განზრახვას შორის და ეღიარებინათ განზრახვის მესამე, დამოუკიდებელ სახედ,[30] მაგრამ აღნიშნულმა იდეამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა და რაც მთავარია, მას არ აღიარებს არც მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

როდესაც საქმე ეხება შედეგიან დანაშაულს და ქმედების შემადგენლობა ითვალისწინებს ალტერნატიულ შედეგებს, განზრახვა შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ, განსაზღვრულ შედეგს ან მოქმედი პირი შეიძლება უშვებდეს ერთ-ერთი შედეგის დადგომას, რომელიც მოქმედი პირისთვის შეიძლება თანაბრად სასურველი იყოს. აქედან გამომდინარე, განასხვავებენ **კონკრეტიზებულ და არაკონკრეტიზებულ განზრახვას.** თუ არაკონკრეტიზებული განზრახვის დროს ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით კვალიფიცირდება,[31] კონკრეტიზებული განზრახვის დროს ქმედების კვალიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, თუ საითკენ იყო მიმართული განხორციელებული ქმედება.

არის შემთხვევა, როცა ქმედება ერთდროულად მიმართულია ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისკენ, შესაბამისად, მოქმედი პირი უშვებს ორი ან მეტი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას. განზრახვის აღნიშნული სახე **კუმულაციური განზრახვის** სახელწოდებითაა ცნობილი. ქმედების კვალიფიკაციისას, ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის წესით, ვინაიდან განზრახვა მოიცავდა არა მხოლოდ ერთი, არამედ მეტი დანაშაულის ჩადენას.[32]მაგალითად, როდესაც ბოროტმოქმედი ცეცხლსასროლი იარაღიდან ისვრის და ითვალისწინებს, რომ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს როგორც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, ისე ცხოველის (სხვისი ნივთის) მოკვდინება.

თუ დანაშაულის საგანი ისეთი ნივთიერებაა, რომელიც არ არის ბრუნვაში და აკრძალულია ან ღირებულება არ გააჩნია, დანაშაულებრივი ქმედების განზრახ განხორციელება მოითხოვს დანაშაულის საგნის უკანონობის ან მისი მნიშვნელობის გაცნობიერებასაც. განზრახვის აღნიშნული სახე **სპეციალური განზრახვის** სახითაა ცნობილი.[33] მაგალითად, იარაღის უკანონო ტარების განსახორციელებლად აუცილებელია მოქმედ პირს ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ იარაღს უკანონოდ ატარებს (236-ე მუხ.). იგივე ეხება ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვას (260-ე მუხ.), დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას (363-ე მუხ.).

მოქმედი პირი ზოგჯერ უშვებს ქმედების ერთი ან მეორე, სხვა შემადგენლობის განხორციელებას. ქმედების აღნიშნულ შემადგენლობათა განხორციელება შეიძლება მოქმედი პირისთვის თანაბრად სასურველი იყოს ან ერთ-ერთი შემადგენლობის განხორციელება მეორესთან შედარებით მეტად სურდეს. განზრახვის აღნიშნულ სახეს **ალტერნატიული განზრახვა** ეწოდება.[34]

არსებობს ალტერნატიული განზრახვის სხვადასხვა სახე: 1. მოქმედი პირი უშვებს სხვადასხვა რანგის სიკეთეთა ხელყოფის შესაძლებლობას, რომლებიც სხვადასხვა ქმედების ობიექტშია განსხეულებული; 2. მოქმედი პირი უშვებს სხვადასხვა ღირებულების სიკეთეთა ხელყოფის შესაძლებლობას, რომელიც ერთსადაიმავე ადამიანშია განსხეულებული; 3. მოქმედი პირი უშვებს თანაბარი რანგის სიკეთეებიდან ერთ-ერთის ხელყოფას, რომელიც სხვადასხვა ობიექტშია განსხეულებული.[35]

ალტერნატიული განზრახვის დროს ქმედების კვალიფიკაციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულების გათვალისწინებას, რომლის ხელყოფის შესაძლებლობასაც მოქმედი პირი აცნობიერებდა. ალტერნატიული განზრახვის დროს ქმედება

---

30 თ. შავგულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

31 ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

32 Rengier R., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, München, 2011, S. 109, §14 Rn. 45.

33 სპეციალურ განზრახვაზე იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 190-191; ნ. თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი-/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბ., 2020, გვ. 66-67.

34 Rengier R., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, München, 2011, S. 110, §14 Rn. 48.

35 ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი I, დანაშაული, თბ., 2014, გვ. 104.

მხოლოდ დამდგარი შედეგის მიხედვით დაკვალიფიცირდება თუ დანაშაულთა ერთობლიობის წესით, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, დამოკიდებულია იმაზე, განხორციელებული ქმედებით რომელი სიკეთე იქნა ხელყოფილი. როცა დამდგარი შედეგი უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის ხელყოფაში არის გამოხატული, ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით კვალიფიცირდება, მაგრამ თუ ხელყოფილი სიკეთე ნაკლები ღირებულებისაა, ხელყოფილი სიკეთე ვერ შთანთქავს უფრო მნიშვნელოვან სიკეთეს და ქმედება დანაშაულთა ერთობლიობის წესით დაკვალიფიცირდება. მაგალითად, თუ მოქმედი პირი უშვებდა ცხოველის მოსპობას ან ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას, ქმედება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დაკვალიფიცირდება როგორც სხვისი ნივთის დაზიანება და მკვლელობის მცდელობა. სხვაგვარად გადაწყდება საკითხი მაშინ, როცა დამნაშავე ქმედების განხორციელებისას უშვებს ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის ხელყოფის გამოწვევას. ასეთ დროს ქმედების კვალიფიკაციის საკითხი სადავო არ არის, როცა სასიკვდილო შედეგი დგება. სახეზე იქნება მკვლელობა და გამოირიცხება ქმედების დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიკაცია. ხოლო მაშინ, როცა პირიქით ხდება და უფრო მსუბუქი შედეგი, ჯანმრთელობის დაზიანება დგება, ერთი შეხედულებით, ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს,[36] მაგრამ მეორე შეხედულებით, ქმედება უნდა შეფასდეს არა დამდგარი შედეგის, არამედ უფრო მძიმე შედეგის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შედეგი ობიექტურად არ დამდგარა. ე. ი. სახეზე იქნება მკვლელობის მცდელობა. შედარებით უფრო მსუბუქ შედეგთან დაკავშირებული ბრალდება ვერ შთანთქავს ბრალდებას უფრო მძიმე შედეგთან მიმართებით.[37]თუ განხორციელებული ქმედება ორივე სიკეთის ხელყოფას იწვევს, მაშინ ქმედება დანაშაულთა ერთობლიობის წესით არ უნდა დაკვალიფიცირდეს. როდესაც განხორციელებული ქმედება ერთდროულად ორ შედეგს იწვევს, შეიძლება საქმე ეხებოდეს როგორც არათანაბარი, ისე თანაბარი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფას. მაგალითად, მოქმედი პირი ფიქრობდა, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედებით, ხელყუმბარის აფეთქებით, ორი ადამიანიდან ერთ-ერთი შეიძლება გარდაცვლილიყო, მაგრამ ორივე გარდაიცვალა. გამოთქმული შეხედულებით, ასეთ დროს სახეზე იქნება განზრახი და გაუფრთხილებლობით დანაშაულთა ერთობლიობა,[38] ვინაიდან მოქმედი პირი უშვებდა ქმედების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენლობის განხორციელებას. თუმცა, საკამათოა საკითხის ასეთი გადაწყვეტა და ჩნდება კითხვა, რატომ არ შეიძლება ორივე დანაშაული მიჩნეულ იქნას განზრახ დანაშაულად? ის რაც შედეგის დადგომამდე განზრახვა იყო, როგორ შეიძლება გაუფრთხილებლობად გადაიქცეს შედეგის დადგომის გამო.[39]

ალტერნატიული განზრახვის დროს, არაკონკრეტიზებული განზრახვის მსგავსად, ავტორთა ნაწილი მხარს უჭერს ქმედების კვალიფიკაციას დამდგარი შედეგის მიხედვით.[40] თუმცა, ალტერნატიული განზრახვა არ არის არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვის იდენტური. ალტერნატიული განზრახვა შეიძლება გამოვლინდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვის ფორმით. შესაბამისად, ალტერნატიული განზრახვა შეიძლება დაიყოს პირდაპირ ალტერნატიულ და არაპირდაპირ ალტერნატიულ განზრახვად.[41]

დამნაშავის ქმედებას განზრახული შედეგი შეიძლება არ მოჰყვეს ქმედების განხორციელებისას, მაგრამ იგი ფიქრობდეს, რომ შედეგი დამდგარია, რეალურად კი, შედეგი შეიძლება დადგეს მეორე ქმედების შედეგად, რომელიც განხორციელდა დამნაშავის შეხედულებით, პირველი ქმედებით გამოწვეული შედეგის დაფარვის მიზნით. ამ შემთხვევაში შედეგი დგება არა პირ-

[36] ნ. თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 114-115.

[37] თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 492; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 69; ი. დვალიძე, წიგნში: ნაჭყებია გ., დვალიძე ი., (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 170.

[38] მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 313.

[39] თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 150-151.

[40] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 189.

[41] თ. ებრალიძე, წიგნში: ო. გამყრელიძე (რედ.), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 107.

ველი, არამედ მეორე ქმედების შედეგად, მაგრამ დამნაშავე ფიქრობს, რომ შედეგი პირველმა ქმედებამ გამოიწვია. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციაზე არსებობს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები. **გენერალური განზრახვის** თეორიით შედეგისადმი ქმედება კვალიფიცირდება როგორც განზრახი, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი იმ მეორე ქმედებით არის დამდგარი, რომლის განხორციელებისას მოქმედ პირს შედეგი დამდგარი ეგონა. გენერალური განზრახვის თეორიის მიხედვით, პირველი ქმედების განხორციელებისას არსებული განზრახვა ვრცელდება მეორე ქმედებაზეც. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ არის მართებული, ვინაიდან ქმედება მაშინაა განზრახ განხორციელებული, როცა განზრახვა ქმედების განხორციელებისას აქტუალური ფორმით არსებობს. შედეგის გამომწვევი ქმედების განხორციელებისას თუ მოქმედმა პირმა არ იცის რომ კონკრეტული ქმედება განსაზღვრულ შედეგს გამოიწვევს, ქმედება ვერ ჩაითვლება აღნიშნული შედეგის განზრახვით განხორციელებულად. ამიტომ, გენერალური განზრახვის თეორიისგან განსხვავებულ გადაწყვეტას გვთავაზობს მეორე მოძღვრება, რომლის მიხედვით, ქმედება განსახილველ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობით უნდა დაკვალიფიცირდეს. კერძოდ, პირველი ქმედება, როგორც განზრახი დანაშაულის (მკვლელობის) მცდელობა, ხოლო მეორე ქმედება, როგორც გაუფრთხილებლობითი დანაშაული (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა). საკითხის ასეთი გადაწყვეტა მიზანშეწონილია. ის უკეთ გამოხატავს შედეგისადმი შესაბამის სუბიექტურ დამოკიდებულებას.

გენერალური განზრახვის შემთხვევა წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომას. შესაბამისად, უნდა მოხდეს იმის გათვალისწინება, რამდენად არსებითია შეცდომა,[42] ვინაიდან არსებითი შეცდომის დროს განზრახვა გამოირიცხება, ხოლო არაარსებითი შეცდომისას ქმედება რჩება განზრახ განხორციელებული.

განზრახვის ზემოთ განხილული სახეები განზრახვის არასაკანონმდებლო სახეებია, რომელთა დეფინიცია მხოლოდ სახელმძღვანელოებსა და კომენტარებშია წარმოდგენილი[43]. გარდა განზრახვის აღნიშნული სახეებისა, არსებობს განზრახვის საკანონმდებლო სახეებიც პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის სახით.

## 2. განზრახვის საკანონმდებლო სახეები

### 2.1. პირდაპირი განზრახვა

სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას“. პირდაპირი განზრახვის მოცემულ განსაზღვრებაში გამოკვეთილია განზრახვის ისეთი ელემენტები, როგორიცაა ა) ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება, ბ) მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება და გ) ასეთი შედეგის გამოწვევის სურვილი ან მისი განხორციელების გარდაუვალობის გათვალისწინება. წარმოდგენილ დეფინიციაში ხაზგასმაა შედეგისადმი დამოკიდებულებაზე, შედეგის განხორციელების გაცნობიერებასა და სურვილზე, რაც განზრახვის დასადგენად სათვალავში მიიღება შედეგიან დანაშაულებში, მაგრამ არსებობს უშედეგო ანუ ფორმალური დანაშაულებიც, სადაც განზრახვის დადგენა მოხდება არა შედეგისადმი, არამედ ქმედებისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით. კანონმდებელმა მე-9 მუხლში იმიტომ გაუსვა ხაზი შედეგისადმი დამოკიდებულებაზე, რომ შედეგიანი დანაშაული წარმოადგენს დანაშაულის შედარებით უფრო სრულყოფილ ფორმას,[44]სადაც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა (დანაშაულებრივი შედეგი, მიზეზობრივი კავშირი) ნიშანია წარმოდგენილი. გარდა ამისა, კანონმდებელმა ასევე მიგვითითა იმაზეც, რომ შედეგიან დანაშაულებში ქმედების განზრახულობის

[42] მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 318.

[43] აღნიშნულ საკითხზე ასევე იხ. ნ. თოდუა, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 272-277; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 310-318.

[44] მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 14.

დასადგენად არ არის საკმარისი მხოლოდ ქმედებისადმი დამოკიდებულების გათვალისწინება და აუცილებელია განზრახვით იყოს მოცული შედეგიც.

პირდაპირი განზრახვა განზრახვის ერთ-ერთი სახეა, მაგრამ თვით პირდაპირი განზრახვაც სისხლის სამართლის ლიტერატურაში იყოფა სახეებად. ესენია პირველი ხარისხის და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა.

პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს მოქმედ პირს გაცნობიერებული აქვს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის შესაძლებლობა და სურს მისი დადგომა, ხოლო მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისას გაცნობიერებული აქვს შედეგის დადგომის არა მხოლოდ შესაძლებლობა, არამედ გარდაუვალობა, თუმცა არ არსებობს შედეგის გამოწვევის მკვეთრად გამოხატული სურვილი.[45] მაგალითად, მოქმედი პირი ასაფეთქებელ მოწყობილობას დაამონტაჟებს თვითმფრინავში და თვითმფრინავს ააფეთქებს, ვინაიდან იცოდა, რომ აღნიშნული თვითმფრინავით უნდა ემგზავრა მის მტერს, თუმცა აცნობიერებდა იმასაც, რომ თვითმფრინავის აფეთქების შედეგად თვითმფრინავში მყოფი სხვა პირებიც აუცილებლად დაიღუპებოდნენ. მტრის მიმართ ქმედება პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით, ხოლო სხვა პირთა მიმართ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვითაა განხორციელებული. პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვასთან გვექნება საქმე, როცა მკვლელობის მიზნით ბოროტმოქმედი ცეცხლს წაუკიდებს სახლს, ვინაიდან მოქმედ პირს სურს შენობაში მყოფი პირების სიცოცხლის მოსპობა. თვითმფრინავის აფეთქების შემთხვევაში პირველი ხარისხის განზრახვა გვექნება მაშინ, თუ მოქმედი პირი აღნიშნულ ქმედებას განახორციელებს არა თვითმფრინავში მყოფი ერთი კონკრეტული პირის, არამედ თვითმფრინავში მყოფი ყველა პირის სიცოცხლის მოსპობისთვის. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს არ არსებობს შედეგის გამოწვევის მკვეთრად გამოხატული სურვილი, მაგრამ არსებობს დანაშაულის ჩადენის ნდომა. მოცემული თვალსაზრისით სურვილი და ნდომა არ არის იდენტური ცნებები და ნდომა შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც მკვეთრად გამოხატული სურვილი არ არსებობს.[46] აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნული ვრცელდება მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაზე და არა ირიბ, არაპირდაპირ განზრახვაზე. კერძოდ, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ მკვეთრად გამოხატული სურვილის არარსებობის მიუხედავად, ქმედება შედეგის დადგომის გარდაუვალობის გაცნობიერებით ხორციელდება, რაც არაპირდაპირ განზრახვას არ ახასიათებს. არაპირდაპირი განზრახვის დროს მოქმედი პირი უშვებს როგორც შედეგის დადგომის, ისე თავიდან აცილების შესაძლებლობას.

ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ დანაშაულებრივი შედეგის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება არა მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვის, არამედ მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროსაც არსებობს.[47] აღნიშნული მოსაზრება საკამათოდ უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ იმიტომ, რომ სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებელი პირდაპირი განზრახვის დეფინიციაში შედეგისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე არ მიუთითებს, არამედ იმის გამოც, რომ ბოროტმოქმედი შედეგის დადგომის გარდაუვალობის გაცნობიერებით მოქმედებს. სადაც შედეგის დადგომის გარდაუვალობის გაცნობირებით ხორციელდება ქმედება, იქ შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულებისთვის ადგილი არ რჩება. თუმცა, ეს ასევე არ გულისხმობს შედეგის დადგომის გარდაუვალობის გაცნობიერებისას შედეგთან მიმართებით ყოველთვის მკვეთრად გამოხატული სურვილის არსებობას.

განზრახვის დაყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად მნიშვნელოვანია როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის, ისე სასჯელის დანიშვნის თვალსაზრისით. პირდაპირი განზრახვით ნებისმიერი განზრახი დანაშაულის ჩადენა შეიძლება. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენა მოითხოვს პირდაპირი განზრახვით მოქმედებას.

---

[45] მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვასთან დაკავშირებით განსხვავებულ შეხედულებას გამოხატავენ თ. წერეთელი და ვ. მაყაშვილი, რომლებიც შედეგის გამოწვევის გარდუვალობის გაცნობიერებისას შედეგთან მიმართებით მოქმედი პირის სურვილის არსებობაზე მიუთითებენ. იხ. თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, წიგნში: თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 57.

[46] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 188.

[47] ნ. თოდუა, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 267.

მიზნით დაფუძნებული დელიქტები (ქურდობა,[48] ძარცვა, ყაჩაღობა) გაბატონებული შეხედულებით, მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. თუმცა, საყურადღებოდ შეიძლება ჩაითვალოს საპირისპირო მოსაზრება, რომელიც მიზნით დაფუძნებული დელიქტის არაპირდაპირი განზრახვით განხორციელების შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

განზრახვის სახეები სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება როგორც ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი გარემოება.[49] ვისაც დანაშაული პირდაპირი განზრახვით აქვს ჩადენილი უფრო მკაცრად შეიძლება დაისაჯოს, ვიდრე ის, ვინც არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა.[50]თუმცა, პირაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენა ყოველთვის არ შეიძლება უფრო მკაცრად დასჯადად იქნას მიჩნეული არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულთან შედარებით. ზოგჯერ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე პირდაპირი განზრახვით განხორციელებული.[51] განზრახვის ფორმასთან ერთად მხედველობაში მიიღება სხვა სუბიექტური გარემოებებიც, როგორიცაა, მაგალითად, აფექტი, ანგარების მოტივი და ა. შ. აფექტში დანაშაულის განხორციელება პირდაპირი განზრახვით ტიპურია, მაგრამ პირდაპირი განზრახვით მოქმედების მიუხედავად, დანაშაული უფრო მსუბუქად დაისჯება, თუ დანაშაული აფექტშია ჩადენილი, რის დასტურადაც შეიძლება ჩაითვალოს სსკ-ის 111-ე მუხლის არსებობა (მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში). იქ, სადაც აფექტი ქმედების შემადგენლობის მაპრივილეგირებელ გარემოებად არ არის გათვალისწინებული, მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს. ვინაიდან საუბარი აფექტში ჩადენილ დანაშაულს შეეხება და მის მნიშვნელობას განზრახი დანაშაულის დროს ბრალის ხარისხის განსაზღვრისთვის. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში აფექტში დანაშაულის ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მიიჩნევა დასაშვებად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ პირი სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიმართ იჩენდა არაპირდაპირ განზრახვას, მაშინ არც ყოფილა აფექტში, ვინაიდან არაპირდაპირი განზრახვის დროს არ არსებობს შედეგის გამოწვევის სურვილი, დამნაშავე გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს შედეგისადმი. აფექტში მყოფი პირის გული ისეა გადახურებული, რომ გულგრილობისთვის ადგილი არ რჩება. ცნობიერება ისეა შეზღუდული, რომ შედეგის შეგნებულად დაშვებისთვის ადგილი არაა.[52] ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში არაპირდაპირი განზრახვით აფექტში მკვლელობას გამორიცხავენ სხვა ავტორებიც, რომლებიც თვლიან, რომ აფექტური განზრახვა პირდაპირი განზრახვაა და გულისხმობს კონკრეტული შედეგისკენ მიზანმიმართულ ქმედებას.[53]

---

48 გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ქურდობა, მიუხედავად იმისა, რომ მიზნით დაფუძნებული დელიქტია, შეიძლება არაპირდაპირი განზრახვითაც განხორციელდეს. იხ.Fischer T., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 1627, §242 Rn. 31; Roxin C., Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 354, §29 Rn. 76.გამოთქმული შეხედულებით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ქურდობის განზრახვის შემადგენელი კომპონენტი არ არის და იგი განზრახვის მიღმაა. აღნიშნული თვალსაზრისის მართებულობის დასასაბუთებლად იშველიებენ იმ არგუმენტსაც, რომ სხვისი ნივთის დაუფლება და მისაკუთრების მიზანი შეიძლება ქურდობის გარდა სხვა დანაშაულის განხორციელების გზითაც იყოს მიღწეული. ქმედება რომ გერმანული სსკ-ის 242-ე პარაგრაფით დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია დამნაშავეს ხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით მოქმედებდეს, მაგრამ აღნიშნული სუბიექტური ნიშანი შეიძლება გააჩნდეს ქურდობის (როგორც სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ერთ-ერთი ხერხის) განხორციელებასთან დაკავშირებით ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირსაც.

49 გ. ნაჭყებია, ბრალის ხარისხის ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, 2009, #2, გვ. 32-33.

50 ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 182.

51 თ. ცქიტიშვილი, სასჯელი და მისი შეფარდება, თბ., 2019, გვ. 162.

52 მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 88, 157.

53 თ. შავგულიძე, წიგნში: ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 51; ო. გამყრელიძე, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 59; ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, გვ. 61.

არაპირდაპირი განზრახვით აფექტში მკვლელობის იდეის უარყოფა არამართებული და მეტად საკამათოა. მართებულად უნდა ჩაითვალოს შეხედულება, რომ აფექტში მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით.[54] არაპირდაპირ განზრახვას შეიძლება ადგილი ჰქნოდეს სწორედ ჯანმრთელობის დამაზიანებელი ქმედების განხორციელებისას. დამნაშავე რომ აფექტშია, ეს არ გამორიცხავს არაპირდაპირ განზრახვას სასიკვდილო შედეგის მიმართ. აფექტი არის საპასუხო რეაქცია მსხვერპლის ქმედებაზე, მაგრამ დამნაშავე მსხვერპლის წინარე ქმედებისთვის პასუხის გასაცემად შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნევდეს მისი სიცოცხლის ხელყოფას და საკმარისად თვლიდეს მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანებას. თუმცა, ამავდროულად შეიძლება არ გამორიცხავდეს უფრო მძიმე შედეგის, სიცოცხლის მოსპობის დადგომას, რაც მისთვის არ იქნებოდა სასურველი შედეგი. ასეთ დროს, თუ შედეგად მსხვერპლის სიკვდილი დადგა, ქმედება 111-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს. გასათვალისწინებელია ის, რომ ჯანმრთელობის (მძიმე) დაზიანებიდან სიცოცხლის ხელყოფამდე ერთი ნაბიჯია. აფექტში დამნაშავე შეიძლება იყოს არა მხოლოდ მსხვერპლის მკვლელობის, არამედ ჯანმრთელობის დაზიანების დროსაც და ამაზე მიუთითებს სსკ-ში 121-ე მუხლის არსებობაც. დამნაშავე რომ აფექტშია, ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ის მოქმედებს სასიკვდილო შედეგის გამოწვევის მიზნით და მსხვერპლის ქმედების საპასუხოდ მიზანშეწონილად მიაჩნია მსხვერპლის მოკვდინება. დამნაშავე შეიძლება მსხვერპლის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას განიხილავდეს საკმარის საპასუხო რეაქციად, მაგრამ ამავდროულად უშვებდეს სიცოცხლის ხელყოფის შესაძლებლობასაც ანუ პირდაპირი განზრახვით მოქმედებდეს ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით, ხოლო არაპირდაპირი განზრახვით სიცოცხლის ხელყოფასთან მიმართებით, რა დროსაც ქმედება დამდგარი შედეგის მიხედვით კვალიფიცირდება.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენა განზრახი დანაშაულის ტიპურ შემთხვევას წარმოადგენს და შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა, რომ პირდაპირი განზრახვით ნებისმიერი განზრახი დანაშაულის ჩადენაა შესაძლებელი, სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა პირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით და აღნიშნულია, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობის ჩადენა პირდაპირი განზრახვით შეუძლებელია,[55] მაგრამ აღნიშნულ საკითხზე არსებობს მეორე შეხედულებაც, რომელიც არ გამორიცხავს პირდაპირი განზრახვით 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობას[56].

### 2.2. არაპირდაპირი განზრახვა

განზრახვის მეორე საკანონმდებლო სახეა არაპირდაპირი (ირიბი) განზრახვა. სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას“. პირდაპირი განზრახვის მსგავსად, არაპირდაპირი განზრახვის დროს მოქმედი პირი ითვალისწინებს ქმედების მართლწინააღმდეგობას, მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ პირ-

[54] ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბ., 2000, გვ. 92. არაპირდაპირი განზრახვით აფექტში მკვლელობის განხორციელებას უშვებენ რუსი ავტორებიც. იხ. Радченко В.И.,Михлин А.С.(Ред.), Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Санкт-Петербург, 2008, 196; Журавлев М.П., Никулин С.И. (Ред.), Уголовное право, Общая и особенная части, 2-е издание, М., 2008, 329.

[55] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 93.

[56] ო. გამყრელიძე, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, 83-84; Журавлев М.П., Никулин С.И. (Ред.), Уголовное право, Общая и особенная части, 2-е издание, М., 2008, 331; Радченко В.И., Михлин А.С. (Ред.), Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, Санкт-Петербург, 2008, 197.

დაპირი განზრახვისგან განსხვავებით, არ სურს შედეგი, თუმცა შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. როგორც ზემოთ აღინიშნა, შედეგის დადგომის მკვეთრად გამოხატული სურვილი არ არსებობს მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროსაც, მაგრამ პირი მოქმედებს შედეგის დადგომის გარდაუვალობის გაცნობიერებით, ხოლო არაპირდაპირი განზრახვის დროს პირი უშვებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას ან გულგრილად ეკიდება მას.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, გულგრილი, ინდიფერენტული დამოკიდებულება გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც შეგნება და ნებისყოფა არ ახდენს რეაქციას ამა თუ იმ მოვლენაზე, რომელიც ხასიათდება პასიურობით.[57]არაპირდაპირ განზრახვასთან დაკავშირებით შემდეგი მაგალითის მოშვლიება შეიძლება: „ლ“-მ და „თ“-მ „კ“-ს მოსთხოვეს ავტომანქანის გაჩერება, გადმოსვლა და პასუხის გაცემა, რატომ ატყუებდა მათ და მათგან რატომ მალავდა ავტომანქანაში „ე“-ს. „კ“ უხსნიდა, რომ არავის მალავდა და მათ არ ატყუებდა, რის შედეგადაც „თ“-მ ხელი დაარტყა „კ“-ს, რაც გადაიზარდა ფიზიკურ ანგარიშსწორებაში. ჩხუბში ჩაერთო „ლ“-ც. ფიზიკური დაპირისპირების დროს „კ“-მ მიიღო არაერთი დაზიანება სახის არეში, რამდენჯერმე წაიქცა და წამოდგა, რა დროსაც, საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, დანის ქნევით სცადა „თ“-ს და „ლ“-ს მოშორება, როცა დანას იქნევდა ყვიროდა, რომ არ მიკარებოდნენ. მოქნეული დანა მოხვდა „ლ“-ს, რომელსაც აღნიშნულის შედეგად მიადგა სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება, რამაც „ლ“-ს სიკვდილი გამოიწვია[58]. „კ“-ს ქმედება დამდგარ შედეგთან მიმართებით არაპირდაპირი განზრახვითაა განხორციელებული, ვინაიდან განხორციელებულ ქმედებაში არ იკვეთება სურვილი დამდგარ შედეგთან მიმართებით. ამაზე მიუთითებს ის, რომ დანის ქნევისას ყვიროდა, რომ არ მიკარებოდნენ. აღნიშნული მოწოდება მან განახორციელა არა მხოლოდ თავის დაცვის მიზნით, რომ თავდასხმა შეეწყვიტათ, არამედ იმიტომაც, რომ არ სურდა თავის დაცვა ისეთი ქმედებით, რომელიც უშუალოდ გამოიწვევდა სასიკვდილო შედეგს. თუმცა, მოქმედებისას აცნობიერებდა, რომ შეიძლება დამდგარიყო მართლსაწინააღმდეგო შედეგი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობა.

კანონმდებელი არაპირდაპირი განზრახვის დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის სურვილის არარსებობაზე მიუთითებს, მაგრამ ლიტერატურაში ავტორთა ერთი ნაწილი ერთმანეთისგან მიჯნავს სურვილს დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური გაგებით და სურვილს ნორმატიული გაგებით. აღნიშნული ავტორები არაპირდაპირი განზრახვის დროს გამორიცხავენ სურვილის არსებობას დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური გაგებით და მიუთითებენ ნორმატიული გაგებით სურვილის არსებობაზე და აღნიშნავენ, რომ თუ მოქმედ პირს გაცნობიერებული აქვს ფაქტობრივი გარემოებები და საზიანო შედეგის გამოწვევის შესაძლებლობა, შედეგის არდადგომის შემთხვევაში არ შეუძლია ამტკიცოს, რომ შედეგის გამოწვევა არ სურდა, რაც სისხლის სამართლის ნორმატივიზაციის შედეგია.[59] თუმცა, საკამათო შეიძლება იყოს არაპირდაპირი განზრახვის ასეთი გაგების შესაბამისობა საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულ საკანონმდებლო დეფინიციასთან, ვინაიდან კანონმდებელი ცალსახად მიუთითებს არაპირდაპირი განზრახვის დროს შედეგთან მიმართებით სურვილის არარსებობაზე და თუ დავუშვებთ არაპირდაპირი განზრახვის დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის სურვილის არსებობას ნორმატიული გაგებით, მივალთ დასკვნამდე, რომ კანონმდებელმა განზრახვის საკანონმდებლო დეფინიციაში უპირატესობა მიანიჭა სურვილის ფსიქოლოგიურ და არა ნორმატიულ გაგებას, რაც საკამათოდ შეიძლება მივიჩნიოთ.[60]

არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრებაში კანონმდებელი ერთმანეთისგან განასხვავებს არაპირდაპირი განზრახვის ორ შემთხვევას. ერთი, როცა მოქმედი პირი შეგნებულად უშვებს შედეგის დადგომას და მეო-

[57] ალ. ვაჩეიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 237.

[58] აღნიშნული კაზუსი მოტანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან.

[59] მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 274.

[60] ნ. თოდუა, წიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 270-271.

რე, როცა გულგრილად ეკიდება შედეგის განხორციელებას. ორივე შემთვევაში არ არსებობს შედეგის გამოწვევის სურვილი. შედეგის შეგნებულად დაშვება და გულგრილი დამოკიდებულება შედეგისადმი ნიშნავს იმას, რომ მოქმედი პირი ერთნაირად უშვებს შედეგის როგორც დადგომას, ისე მის თავიდან აცილებას. თვითიმედოვნებისგან განსხვავებით, არ არის დარწმუნებული შედეგის თავიდან აცილებაში. მაგალითად, პირი მოქმედებს თაღლითურად სადაზღვევო კომპანიისაგან თანხის მიღების მიზნით და ცეცხლი წაუკიდა საკუთარ საცხოვრებელ სახლს. ამ დროს უშვებს იმას, რომ განხორციელებულ ქმედებას შეიძლება ემსხვერპლოს მეზობლად მცხოვრები პირის სიცოცხლე. არ სურს აღნიშნული შედეგის დადგომა, არც შედეგის დადგომის გარდუვალობის გაცნობიერებით მოქმედებს, მაგრამ სადაზღვევო კომპანიისგან თანხის მიღების სურვილი იმდენად დიდია, რომ შეგნებულად მიდის მეზობლის სიცოცხლის ხელყოფის საფრთხის შემცველ ქმედებაზე.

მაშინ როცა განზრახი დანაშაულების პირდაპირი განზრახვით განხორციელების საკითხი არ არის სადავო, არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენა ცალკეულ შემთხვევებში სადავოდ მიიჩნევა. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში უშედეგო, ფორმალურ დანაშაულებთან, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებებია გამოთქმული. ერთი შეხედულებით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შეიძლება განხორციელდეს არაპირდაპირი განზრახვით,[61] ხოლო მეორე მოსაზრებით, არაპირდაპირი განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ჩადენა შეუძლებელია,[62] ვინაიდან ქმედების საშიშროება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების თვისებაა. თუ მოქმედ პირს გაცნობიერებული აქვს რა სახის ქმედებას ახორციელებს, მას სურს კიდევაც იმ საფრთხის შექმნა, რომელიც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისთვისაა დამახასიათებელი. გამოთქმული მოსაზრებით შეუძლებელია მოქმედი პირი უშვებდეს იმას, რომ ქმედება, რომელსაც ახორციელებს, დაკარგავს სასიშ ხასიათს. ტერმინი „დაშვება“ სრულიად გარკვეული მნიშვნელობისაა და გამოიყენება მართლსაწინააღმდეგო შედეგის  და არა ქმედების აბსტრაქტული საშიშროების მიმართ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტში არაპირდაპირი განზრახვა ძნელი წარმოსადგენია, ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ[63]. გაუმართლებელია ყველა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტთან მიმართებით არაპირდაპირი განზრახვის შესაძლებლობის გამორიცხვა.

სისხლის სამართალში საკამათოდ მიიჩნევა არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობაც. ერთ-ერთი მოსაზრებით, დანაშაულის მცდელობა შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვითაც.[64] არაპირდაპირი განზრახვით იმ დანაშაულის მცდელობაა დასაშვები, რომ-

---

[61] ვ. მაყაშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1965, #4, გვ. 19.

[62] მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 16.

[63] გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც არ გამორიცხავენ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის არაპირდაპირი განზრახვით განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 315d პარაგრაფის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებასთან მიმართებით - აკრძალული ავტორბოლა. *Lackner/Kühl,* Strafgesetbuch, Kommentar, 29. Auflage, 2018, §315d Rn. 6. თუმცა, მიუთითებენ იმასაც, რომ დამნაშავეს არაპირდაპირი განზრახვით დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს ქმედების აკრძალვასთან დაკავშირებით. ხოლო რაც შეეხება თვითონ შემადგენლობით გათვალისწინებულ ქმედებას (ავტორბოლის ჩატარება, მასში მონაწილეობა), არაპირდაპირი განზრახვით პრაქტიკულად რთული წარმოსადგენია. *Fischer T.*, Strafgesetzbuch, Kommentar, 68. Auflage, 2021, §315d Rn. 19; *Pegel Ch.,* in: Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, 3. Auflage, 2019, §315d Rn. 27. ხოლო ზოგიერთ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტთან მიმართებით მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მოქმედებას უშვებენ და უარყოფენ არაპირდაპირი განზრახვის შესაძლებლობას დანაშაულის ბუნების და ქმედების შემადგენლობის, ნორმის დისპოზიციის გათვალისწინებით. *Fischer T.*, Strafgesetzbuch, Kommentar, 68. Auflage, 2021, §323b Rn. 4.

[64] მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 298; თ. ებრალიძე, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 106-107; ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2014, გვ. 148; ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, გვ. 119; Jescheck H-H/WeigendT., Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, S. 515;Roxin C., Strafrecht, AT, Band II, München, 2003,

ლის სრულად განხორციელება არაპირდაპირი განზრახვით არ გამოირიცხება, მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში. თუ დასრულებულ და დაუმთავრებელ დანაშაულს შორის სხვაობა შედეგშია, არ შეიძლება შედეგის განუხორციელებლობამ გავლენა მოახდინოს დაუმთავრებელი დანაშაულის ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაზე. არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის შესაძლებლობის იდეა გაზიარებულ იქნა ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასამართლო პრაქტიკაში: „კ“ მივიდა მეგობართან - „ლ“-სთან, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა თავისი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, სადაც ასევე იმყოფებოდა მისი ბიძაშვილი - „ზ“. „კ“-მ „ლ“-სა და „ზ“-თან საუბარში დაჰყო დაახლოებით 40 წუთი, რა დროსაც მათ შეუერთდა „ლ“-ს მეგობარი, „გ“, რომელიც გადმოვიდა ავტომანქანიდან და ისე საუბრობდა მათთან. „კ“ კი დაჯდა აღნიშნულ ავტომანქანაში და ხმა აუწია მაგნიტოფონს. ხმაურზე „ლ“-ს სახლიდან დაურეკა და შენიშვნა მისცა ბაბუამისმა, რის გამოც მან ხმა ჩაუწია მაგნიტოფონს. აღნიშნულის გამო „კ“ განაწყენდა და გადმოვიდა ავტომანქანიდან. შემდეგ „ლ“-მ, შეიძინა რა ლუდი და მინერალური წყალი „ნაბეღლავი“, „ზ“-თან და „კ“-თან ერთად გადაინაცვლა იქვე სკოლის ეზოში, სადაც მათ განაგრძეს საუბარი. მათთან ერთად ასევე იმყოფებოდნენ „ზ“-ს უმცროსი ძმა, „ლ“-ს მეგობარი „ჩ“ და „ქ“. „კ“ ზემოაღნიშნული მცირე საბაბის გამო განიზრახა „ლ“-ს მიმართ ანგარიშსწორება. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, თითქოს სალაპარაკოდ, ცალკე გაიხმო იგი და გაიყვანა იქ მყოფებისგან მოშორებით, სადაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე, თან ნაქონი დანა ორჯერ ზედიზედ დაარტყა „ლ“-ს კისრის არეში და მიაყენა დაზიანებები. „ლ“ საშველად უხმობდა მეგობრებს და ცდილობდა მისგან გაქცევას. „კ“ არ აძლევდა მას ამის საშუალებას და მეორე ხელით იჭერდა. „კ“-მ, შენიშნა რა მათკენ მომავალი „ზ“, რომელმაც დაინახა, თუ როგორ ურტყამდა „კ“ დანას „ლ“-ს, უყვიროდა და მოუწოდებდა, რომ შეეწყვიტა აღნიშნული ქმედება, მხოლოდ ამის შემდეგ გაუშვა ხელი „ლ“-ს, თვითონ კი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. „ლ“ მიღებული დაზიანებებით გადაიყვანეს სამედიცინო კლინიკაში, სადაც სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა. მოცემულ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ ქმედება დააკვალიფიცირა როგორც არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის მცდელობა (მე-19, 108-ე მუხ.).[65]სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დამნაშავე არ მოქმედებდა დაზარალებულის მოკვლის მიზნით. თუმცა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მძიმე დაზიანება მიყენებული იყო სიცოცხლისთვის ძალზედ სახიფათო ადგილზე, შესაბამისად, დამნაშავე ითვალისწინებდა შესაძლო სასიკვდილო შედეგსაც- დაზარალებულის სიკვდილს და გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობაზე, არ არის გასაზიარებელი. დანაშაულის მცდელობის დროს არ შეიძლება დანაშაულებრივ შედეგთან მიმართებით დამნაშავე გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდეს. მცდელობის სუბიექტური ელემენტი გულისხმობს მიზანს. მცდელობის დროს სუბიექტი მოქმედებს იმ მიზნით, რომელსაც სურს მიაღწიოს ქმედებით, რომელიც მცდელობას წარმოადგენს. იმას, ვინც მცდელობას ახორციელებს, სურს მიზნის განხორციელება. ვინც ცდილობს რაღაც შედეგის გამოწვევას, ის მიისწრაფვის კიდევ იმ მიზნისკენ, რისი განხორციელებაც სურს[66].

ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული თვალსაზრისით, დანაშაულის მცდელობა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.[67]

S. 353, §29 Rn. 71;Heinrich B., Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 292, Rn. 658.

65 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება, #745-აპ-08.

66 Alwart H., Strafwürdiges Versuch, Eine Analyse zum Begriff der Strafwürdigkeit und zur Struktur des Versuchsdelikts, Berlin, 1982, S. 142-143.

67 ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-3 გამოცემა, წიგნში: მისივე, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2013, გვ. 245; თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 350, 488; მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 15; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 71; გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, წიგნში: ლეკვეიშვილი, მამულაშვილი, თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 181; ნ. თოდუა, საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, #2/3, გვ. 155; ი. დვალიძე, წიგნში: გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე,

არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობა გამოირიცხება, ვინაიდან სსკ-ის მე-19 მუხლში დანაშაულის მცდელობა განმარტებულია როგორც დანაშაულის ჩადენისკენ უშუალოდ მიმართული განზრახი ქმედება. სიტყვები „უშუალოდ მიმართული" თუ ავტორთა ერთი ნაწილის მიერ განიმარტება როგორც მცდელობის ობიექტური დახასიათება, ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყება და კონკრეტული საფრთხის შექმნა,[68] მეორე მოსაზრებით, აღნიშნული სიტყვები გამოხატავს მცდელობის სუბიექტურ მხარეს, იმას, რომ მცდელობა მიზნით დეტერმინირებული, პირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედებაა.[69]

არაპირდაპირი განზრახვა უნდა განიხილებოდეს თუ არა განზრახვის სახედ, სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა. ერთ-ერთი მოსაზრებით, უნდა შეიქმნას სპეციალური სამართლებრივი ფიგურა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს არაპირდაპირ განზრახვას და თვითიმედოვნებას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს დანაშაულებრივი გულგრილობა.[70] აღნიშნული მოსაზრება კიდევ უფრო სადავოს ხდის არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას.[71]

საკამათოდ მიიჩნევა ასევე არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულში თანამონაწილეობა. სსკ-ის 23-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულში თანამონაწილეობა გულისხმობს განზრახ დანაშაულში ორი ან მეტი პირის განზრახ მონაწილეობას. ამ შემთხვევაშიც არ არის დაკონკრეტებული თუ როგორი განზრახვით არის თანამონაწილეობა დასაშვები. ერთ-ერთი მოსაზრებით, დანაშაულში თანამონაწილეობა არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება,[72] მაგრამ მეორე მოსაზრების თანახმად, თანამონაწილეობა მოითხოვს პირდაპირი განზრახვით განხორციელებულ ქმედებას, ვინაიდან თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველია ერთიანი მიზნით განხორციელებული უმართლობა.[73]

არაპირდაპირი განზრახვით საკამათოდ მიიჩნევა არა მხოლოდ დანაშაულში თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით, როცა ბოროტმოქმედებს როლები განაწილებული აქვთ, არამედ თანაამსრულებლობაც,[74] რომელიც თანამონაწილეობას წარმოადგენს ფართო გაგებით. აღნიშ-

(რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 169; ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 89; დ. სულაქველიძე, დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, „სამართალი", 1991, #3-4, გვ. 11; ლ. სურგულაძე, წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 52, მისივე, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 2005, გვ. 327; თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 225; გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 271, 374; Puppe I., Der halbherzige Rücktritt, NStZ, 1984, S. 491; Streng F., Rücktritt und dolus eventualis, JZ, 1990, S. 219; Kölz-Ott M., Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974, S. 39, 98; Stooss C., Dolus eventualis und Gefährdung, ZStW 1895 (15), S. 200; Lampe E., Genügt für den Entschluß des Täter in §43 StGB sein bedingter Vorsatz?, NJW 1958, S. 333; Bauer W., Die Abgrenzung des dolus eventualis - ein Problem der Versuchsdogmatik, Wistra 1991, S. 171.

68 მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 305; ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2014, გვ. 148.

69 თ. წერეთელი, წიგნში: თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 119; ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-3 გამოცემა, წიგნში: მისივე, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2013, გვ. 245.

70 მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 288-289.

71 თ. ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „მართლმსაჯულება და კანონი", 2014, #4, გვ. 107.

72 თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 152; მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 334; გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 198.

73 ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 325-ე და შემდგომნი; თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 309 და შემდგომნი; გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 271.

74 გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 271, 415.

ნული მოსაზრების თანახმად, არაპირდაპირი განზრახვით თანაამსრულებლობას შეუძლებელს ხდის თანამონაწილეთა მოქმედება ერთიანი განზრახვით. ერთიანი განზრახვა კი გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. ერთიანი განზრახვით მოქმედებისას ქმედება ერთიანი მიზნით ხორციელდება.[75]როგორც ო. გამყრელიძე მიუთითებს, არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროს არ არსებობს ამსრულებელთა უმართლობის გამაერთიანებელი ელემენტი, რომელიც ამსრულებელთა მოქმედებებს ერთ მთლიანად შეკრავს და ერთ საერთო უმართლობად წარმოგვიდგენს. არაპირდაპირი განზრახვის დროს ამსრულებელთა მოქმედებების კავშირი გარეგანია, კაუზალურია, რაც მას თანაამსრულებლობისთვის საკმარის პირობად არ მიაჩნია, ვინაიდან, მისი თვალსაზრისით, არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ ქმედებებს აკლია ის შინაგანი რგოლი, რომლის გარეშე თანაამსრულებლობა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ.[76] ო. გამყრელიძეს არაპირდაპირი განზრახვით თანაამსრულებლობა ისევე მიაჩნია შეუძლებლად, როგორც თანაამსრულებლობა გაუფრთხილებლობით.

მეორე მოსაზრების თანახმად, თანაამსრულებლობა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით[77]. აღნიშნულთან დაკავშირებით თ. წერეთელს მოყავს მაგალითი, სადაც სადაზღვეო კომპანიისგან თანხის მისაღებად სახლის მესაკუთრეები სახლს ცეცხლს უკიდებენ და აღნიშნულის შედეგად არაპირდაპირი განზრახვით უშვებენ სხვისი სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას, მოქმედ პირებს კი თანაამსრულებლებად მიიჩნევს.[78]

უნდა ითქვას, რომ თანაამსრულებლობისთვის ტიპურია პირდაპირი განზრახვით მოქმედება და ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევას, სადაც საქმე ეხება წინასწარი შეთანხმებით მოქმედ ჯგუფს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასევე არსებობს წინასწარი შეთანხმების გარეშე მოქმედი ჯგუფიც (სსკ-ის 27-ე მუხ.).[79] ჯგუფური მოქმედება თანაამსრულებლობას მოითხოვს. იქ, სადაც თანაამსრულებლობა არ არსებობს, ჯგუფური დანაშაულიც გამოირიცხება. თუ ჯგუფურად, თანაამსრულებლობით დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია თანაამსრულებელთა წინასწარი შეთანხმების გარეშე, ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თანაამსრულებლობა შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებული (წინასწარშეთანხმებული) გადაწყვეტილების და პირდაპირი განზრახვის გარეშეც. როდესაც დაწყებულ დანაშაულებრივ ქმედებას, ჩხუბს უერთდება მოგვიანებით შემოერთებული ამსრულებელი, არა დაზარალებულზე პირადი ჯავრის ამოყრის მიზნით, არამედ ბოროტმოქმედი მეგობრისთვის თანადგომის მიზნით, შეიძლება უშვებდეს იმას, რომ ქმედებას (ჩხუბს) მოჰყვება მსხვერპლის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა, თუმცა არ სურდეს ამ უკანასკნელის გამოწვევა. თუ განხორციელებულმა ქმედებამ სასიკვდილო შედეგი გამოიწვია, ორივე პირი, როგორც თავიდან მოქმედი, ისე გვიან შემოერთებული უნდა დაისაჯოს მკვლელობის თანაამსრულებლობით განხორციელებისთვის.[80] თუკი ვიწრო გაგებით თანამონაწილეობა, მაგალითად, დანაშაულზე დაყოლიება ან ორგანიზება მეტად საკამათოა არაპირდაპირი განზრახვით, წაქეზების და ორგანიზების ბუნების გათვალისწინებით, იგივე არ შეიძლება ითქვას თანაამსრულებლობაზე, მით უფრო, როცა საქმე ეხება თანაამსრულებლობას წინასწარი შეთანხმების გარეშე.

---

[75] ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 166-167; ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 111.

[76] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 308-309.

[77] მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 330.

[78] თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007, გვ. 145.

[79] ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მესამე გამოცემა, წიგნში: მისივე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ., 2013, გვ. 266; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, წიგნში: მისივე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი, თბ., 2007, გვ. 145; გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 427-428.

[80] თანაამსრულებლობის საკითხზე ასევე იხ. თ. ცქიტიშვილი, რეცენზია: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2019, #1, გვ. 66-68.

ასევე საკამათოდ მიიჩნევა არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. თუ ერთი მოსაზრებით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია ევენტუალური განზრახვით,[81] მეორე მოსაზრებით არაპირდაპირი განზრახვით ხელის აღება გამოირიცხება, რასთან დაკავშირებითაც ერთ-ერთ არგუმენტად სახელდება ის, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი აქვს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე,[82] რომელიც ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, მოითხოვს მოქმედებას პირდაპირი განზრახვით.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა საკამათოა მაშინ, როცა დამნაშავე ევენტუალური განზრახვით მოქმედებდა (მაგალითად, სასიკვდილო შედეგთან დაკავშირებით), თუმცა სურდა სხვა მიზნის მიღწევა (სხვისი ფულადი თანხის დაუფლება) და მიაღწია კიდეც, რის გამოც წყვეტს მოქმედებას და უშვებს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის (სიცოცხლის მოსპობის) დადგომას. მაგალითად, რესტორანში „ა"-ს საფულე მოპარა „ბ"-მ. როცა „ბ" რესტორანს ტოვებდა, „ა" გამოედევნა მას თავისი ფულის უკან დასაბრუნებლად. როდესაც „ბ" ფულის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით გაუძალიანდა, „ა"-მ პისტოლეტიდან ცეცხლი გახსნა „ბ"-ს მიმართ, რა დროსაც უშვებდა მისი სიცოცხლის ხელყოფის შესაძლებლობას (ევენტუალური განზრახვა). განხორციელებული ქმედების შედეგად „ბ" დაიჭრა, რა დროსაც „ა"-მ წაართვა თავისი საფულე და გაუჩინარდა. ამასთან მან ნახა, რომ „ბ" გადარჩა და ის მხოლოდ დაჭრილი იყო. მან იცის, რომ „ბ" შემდგომი სროლის შედეგად უპრობლემოდ შეუძლია მოკლას, თუმცა ამის არანაირი ინტერესი არ გააჩნია, ვინაიდან მან ფულის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით თავის მიზანს მიაღწია.[83] ერთ-ერთი თეორია აღნიშნულ შემთხვევაში უშვებს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, ვინაიდან აღნიშნული შეხედულების წარმომადგენლები გაუმართლებლად თვლიან არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობის გამორიცხვას იმის გამო, რომ მოქმედი პირი მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიზნით არ მოქმედებდა.[84] მოცემულ შემთხვევაში საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი ნებაყოფლობით ხელის აღებას, მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რომელ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა განიხილება, ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი აქვს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე და თუ მომზადება ან მცდელობა გამოირიცხა, ნებაყოფლობით ხელის აღებაც გამოირიცხება. მომზადება და მცდელობა კი მოითხოვს შესაბამის სუბიექტურ ნიშნებს, რომელთაგან ერთ-ერთი, ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, არის გამიზვნა, შესაბამისად, პირდაპირი განზრახვა. ზემოთ მოყვანილ მაგალითში გამიზნული მოქმედება სასიკვდილო შედეგთან დაკავშირებით არ არსებობს, რის გამოც მკვლელობის მცდელობა უნდა გამოირიცხოს. ეს კი თავისთავად გამორიცხავს მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღებასაც. იქ, სადაც არ არსებობს მკვლელობის მომზადება და მცდელობა, არც ნებაყოფლობით ხელის აღებას ექნება ადგილი.

### 3. არაპირდაპირი განზრახვის გამიჯვნა გაუფრთხილებლობისგან (თვითიმედოვნებისგან)

არაპირდაპირი განზრახვის გამიჯვნა თვითიმედოვნებისგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სისხლის სამართალში, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან საქმე ეხება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხს. არაპირდაპირი განზრახვის თვითიმედოვნებისგან გამიჯვნასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა თეორია, რომლებიც ორ ჯგუფად იყოფა: **ცოდნის და ნებელობის** თეორიები.[85] ცოდნის ანუ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, **წარ-**

[81] ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2014, გვ. 331.

[82] გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.),სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 271-272.

[83] აღნიშნული მაგალითი იხ. Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 371-372, Rn. 835.

[84] Krey/Esser, Deutsches Strafrecht Allgemeiner Teil, 4. Auflage, 2011, S. 521, Rn. 1293.

[85] აღნიშნულ თეორიებზე ქართულად იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 291-298.

**მოსახვის თეორიის** მიხედვით, ქმედებას განზრახ ახორციელებს ის, ვინც ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომას შესაძლებლად (შესაძლებლობის თეორია), საალბათოდ (ალბათობის თეორია) მიიჩნევს და მიუხედავად ამისა, მაინც მოქმედებს. აღნიშნული თეორიის მიხედვით მნიშვნელოვანია ინტელექტუალური (კოგნიტური) და არა ნებელობის ელემენტის არსებობა. ის ვინც ქმედების შემადგენლობის განხორციელებას მხოლოდ შესაძლებლად და საალბათოდ მიიჩნევს, შეგნებულად უგულებელყოფს ნორმით დაწესებულ აკრძალვას. ამაზე მეტი მოთხოვნა კი განზრახ ქმედებას არ წაეყენება და ეს საკმარისი კრიტერიუმია ქმედების განზრახ განხორციელებულად კვალიფიკაციისთვის. შედეგის დადგომის შესაძლებლობის დაშვება და შედეგისადმი შეგუება, შედეგის დადგომის ალბათობის დაშვება მიიჩნევა იდენტური მნიშვნელობის მქონედ. **შესაძლებლობის თეორიის** მიხედვით, იგულისხმება განსაზღვრული ალბათობის დაშვება ქმედებასთან დაკავშირებით და საკმარისად არ მიიჩნევა მოქმედი პირის მიერ შედეგის დადგომასთან დაკავშირებით შორეული შესაძლებლობის წარმოსახვა. მაგალითად, არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობისას, სასიკვდილო შედეგის დადგომის შორეული შესაძლებლობის წარმოსახვით არ უნდა მოქმედებდეს დამნაშავე.[86] წინააღმდეგ შემთხვევაში არაპირდაპირი განზრახვა გამოირიცხება.

**ნებელობის თეორიის** მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვისთვის საჭიროა დამატებით ნებელობითი, ვოლუნტატური ელემენტის არსებობა. განზრახ მოქმედებს ის, ვინც შედეგის დადგომას შესაძლებლად მიიჩნევს და გარდა ამისა, ეგუება კიდეც მის დადგომას (მოწონების თეორია), თანამდევი შედეგის დადგომას თანაბარმნიშვნელოვნად თვლის (თანაბარმნიშვნელობის თეორია), შედეგის დადგომის შესაძლებლობას სერიოზულად აღიქვამს და ურიგდება მას (შედეგის დადგომის შესაძლებლობის სერიოზულად აღქმის თეორია). სხვა შეხედულების თანახმად, განზრახ მოქმედებს ასევე ის, ვინც შედეგის დადგომის შესაძლებლობას აცნობიერებს და თავის ნებას არ წარმართავს დანაშაულებრივი ქმედების, შესაბამისად, შედეგის დადგომის თავიდან აცილებისკენ (თავიდან აცილების თეორია). მოცემული მოსაზრების თანახმად, ნებელობითი კრიტერიუმი გადამწყვეტია გამიჯვნის თვალსაზრისით.[87]

ქართული სსკ-ის მიხედვით არაპირდაპირ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის არსებობს შემდეგი განსხვავება: არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირდაპირი განზრახვის მსგავსად ადგილი აქვს კანონის მოთხოვნის შეგნებულ უგულებელყოფას,[88]ხოლო თვითიმედოვნებისას პირი აცნობიერებს წინდახედულობის ნორმით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევას. არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან ურიგდება მის დადგომას, ან გულგრილად ეკიდება შედეგის განხორციელებას. თვითიმედოვნების დროს კი მოქმედი დარწმუნებულია შედეგის თავიდან აცილებაში.[89] მაგალითად, როდესაც მძღოლი მოძრაობს გადაჭარბებული სისწრაფით, შეიძლება უშვებდეს იმას, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (არაპირდაპირი განზრახვა) ან დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ასეთი შედეგი არ დადგება (თვითიმედოვნება). ეს ყოველივე, მაგალითად, მოქმედი პირი უშვებს შედეგის დადგომას, თუ დარწმუნებულია მის თავიდან აცილებაში, დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე, როგორც მძღოლის გამოცდილებაზე, ისე სხვა იმ გარემოებებზე, რომლებიც თან ახლავს მძღოლის მიერ გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობას. კერძოდ, ტერიტორიულად სად და რა პირო-

[86] აღნიშნული თეორიების შესახებ იხ. Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 120, Rn. 299.

[87] აღნიშნულ თეორიასთან დაკავშირებით იხ. Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 121, Rn. 300. ნებელობის თეორიის მხარდამჭერი მოსაზრება იხ. Eisele, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, Bielefeld, 2016, S. 295, §12 Rn.7.

[88] არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომ კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფა უფრო ეთიკის საქმეა. იხ. ლ. ხარანაული, გაუფრთხილებლობის ევოლუცია დანაშაულის კლასიკური მოძღვრებიდან თანამედროვე სისტემამდე (დოგმატურ-სისტემური ანალიზი), „სამართლის ჟურნალი“, 2018, #1, გვ. 183.

[89] გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.),სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 286.

ბებში გადაადგილდება მძღოლი: მაგალითად, ხალხით სავსე ქუჩა, გადაადგილება ღამის საათებში, ნისლიანი ამინდი, როდესაც ხილვადობა შეზღუდულია და ა. შ.

არაპირდაპირი განზრახვის და თვითიმედოვნების გამიჯვნა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი დანაშაულის ჩადენა მხოლოდ განზრახ შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვის სახით და გაუფრთხილებლობას გამორიცხავს. ასეთია მაგალითად, მკვლელობის უმართლობა, რომელიც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისგან შედეგისადმი სუბიექტური დამოკიდებულებით განსხვავდება. შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომ თუ დანაშაულის ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით შეიძლება იგივე შესაძლებელია თვითიმედოვნებითაც.[90]

[90] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 325-326.